საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების და საჰაერო ფლოტის დღის დღესასწაული მოწყობილი უნდა იქნეს იმ ანგარიშით, რომ ამ დღეს ჩვენი კავშირის მშრომელი მასები გაეცნონ იმას, რაც გააკეთა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებამ და რის გაკეთებასაც ის ფიქრობს მომავალში.

14 ივლისიდან უნდა დაიწყოს კამპანია საზოგადოების კიდევ უფრო გაფართოებისათვის და ფითელი საჰაერო ფლოტისათვის [illegible] ფლოტის გასაძლიერებლათ; ამ კამპანიის დროს უნდა სწარმოებდეს წევრების მიღება საზოგადოებაში (1925 წლისათვის წევრების რიცხვი ა | კ. ს. ფ. ს. რ. [illegible] ოდეს 300.000 კაცს); ამასთანავე საჭიროა შეტანილი იქნეს განმეორებით საწევრო გადასახადები, გაფრცელებული იქნეს აქციები ჩვენს ფოთოზე და განსაკუთრებით კი მოტორების აღმშენებლობაზე (ამბ. ტროკკის ლოზუნგი „მოგვეცი მოტორი“).

დაწყებული უნდა იქნეს კამპანია გლეხთა შორის.

14 ივლისის დღემ უნდა შექმნას მასების აღტაცება ფითელ საჰაერო ფლოტის მშენებლობის საქმეში.

თვით დღესასწაული ჩატარებული იქნება ჰაეროდრომზე.

იქითკენ უნდა გაემართონ დროშებით საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ყველა ორგანიზაციები, ლენინელები; ჰაეროდრომზე მოწყობილი იქნება: 1) საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების და საჰაერო ფლოტის საზეიმო სხდომა, 2) ზეიმი საჰაერო ფლოტისიმ ფითელ მედროშეთა საპატივსაცემლოთო, რომლებმაც საჰაერო ბრძოლებისა და გამარჯვების ცეცხლში გაიარეს, 3) შეფობის მიღება კავკასიის ფითელ დროშოვან ომიის ვიო—რაზმზე.

იქვე მოწყობილი იქნება ფრენა—საჰაერო ნათვლა.

მუშებო, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრებო, კომკავშირელებო და ახალგაზრდა ლენინელებო! ავიაციისა და საჰაერო ფლოტის დღეს—ყველამ მიაშურეთ ჰაეროდრომს.

მშრომელო ხალხო ააგე შენი საჰაერო ფლოტი

განახლებული კაპიტალიზმის გონებრივი სიმდიდრის თავისუფალი შეფასებისა და განვითარების სამეფოში პირველ ადგილს დაიკავებს ავიაცია, რომელიც მოწოდებულია ბუნებრივი სტიქიის დასაპყრობათ და შესასწავლად; იგი დაეუფლება მთელ სივრცეს, გადალახავს და მოსპობს ხალხთა შორის დადებულ ვიწრო საზღვრებს, შეიტანს განათლებას ჩამორჩენილ ქვეყნებში და ვინ იცის—იქნებ შეგვიერთოს კიდეც სხვა პლანეტებთან.

მაგრამ არა მხოლოდ მომავლისათვის, არამედ დღეს, ამ ბრწყინვალე მომავლისათვის საბრძოლველად, ჩვენთვის აუცილებელია ავიაციის განვითარება. გადამწყვეტი ბრძოლა კიდევ წინ არის და ბურჟუაზია გაცხარებით ემზადება ამ ბრძოლისათვის.

მომავალ ომში ავიაცია დაიკავებს პირველ და გადამწყვეტ ადგილს და გამარჯვებაც მას ხვდება წილად, ვინც საუკეთესოდ განავითარებს ავიაციას.

ჩვენმა პროლეტარიატმა შეიგნო და დაადასტა საჰაერო ფლოტის შექმნის უდიდესი მნიშვნელობა და მისი საშრომო საშვალებებით დღეს შენდება არა ერთი და ორი თვითმფრენები. გლეხობის საუკეთესო და უფრო შეგნებულმა ნაწილმაც გაითვალისწინა საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა და აუცილებლობა. გლეხთა კომიტეტებმა გამონახეს საშვალებები 150 თვითმფრენის შესაძენათ—იზრდება და მტკიცდება ჩვენი ავიაცია. თუ დასავლეთის ბურჟუაზია ძლიერია თავის კაპიტალით, თავის ტეხნიკით—ჩვენ ასჯერ უფრო ძლიერი ვართ ჩვენი შეერთებული და შედუღებული რიგებით, ჩვენს წინ მდებარე ამოცანების შეგნებით, მტკიცე ნებით და გადაწყვეტილებით გამარჯვებისათვის. და თუ ჩვენ გვჭირდება თვითმფრენები—ჩვენ ისინი გვექნება. არა ერთი და ორი ბრწყინვალე გამარჯვება გვიგემნია ამ უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში სამეურნეო, სამხედრო, პოლიტიკურ დარგებში და სამოქალაქო ომში.

მუშა შესძლებს თავის დაკოჭილი ხელებით ფითელი საჰაერო ფლოტის აგებას და გაიმარჯვებს ჰაერში იმავე შეუდრეკელი ძალით და ენერგიით, რომლითაც მან უკვე დაიპყრო მთელი ქვეყნის ერთი მეექვსედი. ჩვენ ვისწავლეთ ამ 6 წლის განმავლობაში მოვიკრიფოთ და მივაპყრათ მთელი ჩვენი ყურადღება, ენერგია და ძალა ამა თუ იმ ამოცანას და გადავჭრათ კიდეც იგი. დაკვრითი წესით ვსწყვეტთ ჩვენ საკითხებს მათ გარშემო მთელი ენერგიის და ყურადღების მოკრეფით და ვანხორციელებთ მათ. მოწოდებამ „მშრომელო ხალხო ააგე შენი სიჰაერო ფლოტი“, ჰპოვა მუურვალე გამოძახილი და ჩვენი საჰაერო ფლოტილია თანდათან იზრდება. იმის შეგნება, რომ თვითეული ჩვენგანი მონაწილეა ამ უდიდეს საქმეში, უნდა შეიქნეს ჩვენთვის საამაყოთ.

14 ივლისს ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასია რევოლიუციის მონაპოვარნი, უნდა მიიღოს მონაწილეობა ავიაციის დღესასწაულში, უნდა ჩაეწერონ ს. ფ. მ. ს. რიგებში.

დღე, ვინც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო ს. ფ. მ. ს. ჩაწერა, ჩაეწეროს დღეს. ყოველმა მუშამ, პატიოსანმა მშრომელმა უნდა შეიტანოს თვისი წვლილი თავის პროლეტარულ ფლოტის შექმნის საქმეში.

გაუმარჯოს ჩვენს ფითელ საჰაერო ფლოტს!

გაუმარჯოს ს. ფ. მ. ს!.

გაუმარჯოს ს. ს. რ. კ. ძლიერებას!

გაუმარჯოს მსოფლიოს პროლეტარულ რევოლიუციას!

წითელ ავიაციის დღე

ორშაბათს 14 ივლისს,—საფრანგეთის რეფოლიუციონურ მუშათა მიერ ბასტილიის აღების დღეს,—ტფილისში იმართება ფითელ ავიაციის დღესასწაული. დღის 3 საათზე ნავთლუღის აეროდროზე გაიმართება გრანდიოზული აღლუმი და დაღუპულ ავიატორთა—წითელ გმირების მოსაგონებელი ზეიმი. ტფილისის აღმასკომის განკარგულებით ნავთლუღში მთელი დღე ივლიან ტრამვაის ვაგონები და აგრეთვე,რკინის გზის მატარებლები. გაიმართება ჰაეროპლანების ფრენა. საღამოს ყველა კლუბში დანიშნულია სეირნობა და ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები სხვა დასხვაგვარ გასართობებით. შემოსავალი მომმართდება ჰაეროპლან „ილიის“ აშენებ[illegible]

მუშათა ცხოვრებიდან

როგორ ვცხოვრობთ აგარაკებზე

ყველა იმ აგარაკებზე, სადაც მეფის თვითმპყრობელობის დროს მშრომელი ხალხის მყვლეფელი და მათი ნაოფლარით შექმნილი ქონების გამნიაველი ბურჟუაზია იყო, სწორედ იქ დღეს, საბჭოთა ძალა-უფლების დროს მშრომელი ხალხი მთელი წლის განმავლობაში პატიოსან შრომაში დახარჯულ ძალ-ღონეს ინაზღაურებს.

მუშათა ექსპლოატაცია აგარაკებზე

ბურჟუაზია აქაც არ ისვენებდა; ის ჩვეულებისამებრ ეწეოდა მუშების ექსპლოატაციას, იმსახურებდა, იმონავებდა და სეზონის დამთავრების შემდეგ ისევ სტოვებდა მას ქუჩაში.

დღეს მუშები ისვენებენ აგარაკებზე

დღეს, როდესაც ძალა-უფლება მუშათა და გლეხთა ხელშია, მშრომელ ხალხს აგარაკებზე უპირველესი ადგილი უჭირავთ—იქ დღეს მუშები ისვენებენ და ჯანღონეს იორკეცებენ, რათა მზად იყვნენ, რომ პირველ გამოძახილზე უკანასკნელად ჩასცენ ლაბარი თავიანთ მძარცველებს—დახავსებულ ბურჟუაზიას.

სტამბის მუშა, რომელიც აგერ 25 წელიწადია შრომაშია ჩაბმული და ტფილისის სადგურს არ გამორეკია და აგარაკზე მხოლოდ წარმოდგენა ჰქონდა, დღეს კისლოვოდსკიდან იწერება:

„ჩვენ აგარაკში დღეს, რუსეთის და ამიერ-კავკასიის კუთხეებიდან ვიმყოფებით 400-მდე მუშები; ჩვენთვის ყველაფერი მზად არის: საუცხოვო საკმელ-სასმელი, მშობლიური მზრუნველობა, ბაღებში სეირნობა, მუსიკა, ჟურნალ-გაზეთები, ექსკურსია ავტომობილებით და საუკეთესო ექიმობა“...

წარსულთან შედარებით დიდი განსხვავებაა. მუშების შექმნილ ქონებას დღეს მუშები ჰპატრონობენ და თვითონ სარგებლობენ მათი ნაყოფით. მშრომელი ხალხი თანდათან რწმუნდება საბჭოთა ძალაუფლების კეთილ-ნაყოფიერებაში და ამიტომაა, რომ მუშები მას მხარს უმაგრებენ და მის გარშემო მის დამცველ დარაჯებად ირაზმებიან.

ინფ. მუშა ლადო.

მეთამბაძოე მუშათა ცხოვრებიდან

(ტრესტის სალუარადღებოდ)

თუთუნის პირველი ქარხნის მუშებს, რომლებიც შრომის ხელფასს იღებდნენ 6—7 ხარისხით, დააკლეს ხარისხები და გაუხადეს 4 ნახევრამდე. ეგ კიდევ არაფერი, ამასაც კიდევ დააკლეს 8 მანეთი. მუშებს დარჩათ ჯამაგირად 32 მანეთი. ამის გარდა ორშაბათობით დასვენების დღეებში, თვეში ორ-ჯერ არ გვაძლევენ ხელფასს. ამ [illegible] დღეში მუშა მშიერი მუცლით ხომ ვერ დაისვენებს. ამას გარდა კოოპერატიულად ნისიაო წაღებული ფართალის საფასურს თვეში 12 მანეთს გვირიცხავენ.

ზოგიერთს ძველი ვალები აქვთ 5—10 მან. და ამასაც უქერენ ჯამაირიდან. მუშას თვეში რჩება რაღაც ტროშები, რომელიც სრულებით არ ყოფნის მას. ამას გარდა ჯამაგირს ვერ ვღებულობთ დროზე. გვაძლევენ ავანსებს, ნაწილათ მასაც ზოგს აძლევენ, ზოგს კი არა.

ავანსების გაცემა უნდა შეწყდეს და ყვირაში ერთხელ უნდა მიეცეს მუშებს კვირის ნამუშევარი, ეს უფრო სწორია.

ჩვენი სპეცები იძახიან: მოითმინეთ, წარმოება ვერ იტანსო. რაშია საქმე? იმათთვის იტანს წარმოება და ჩვენთვის ვერ იტანს? იმათი ორგანიზმი და ჩვენი ორგანიზმი ერთი და იგივე არის და ჭამაც ერთი უნდა იყოს.

ჩვენ უნდა მოგვექცეს ყურადღება და ჯამაგირებიც უნდა მოგვემატოს.

მუშა ბახმო.

მუშტაიდის გალი

მსოფლიო ომის შემდეგ მუშტაიდის ბაღს პატრონი აღარავინ ჰყავდა.

რევოლიუციის შემდეგ კი თითქმის მთლად მიავიწყდათ ეს ოდესაც საუკეთესო ბაღი. მენშევიკების დროიდან ამ უკანასკნელ ხანამდე აქ დაბუდებული იყვნენ ყოველი ჯურის ავაზაკები, გარყვნილება, ქურდობა, კარტის თუ ზარის, ყომარის თამაში აქ იყო უზედამხედველოდ.

ბაღი მთლად გაიქცელა, ირგვლივ მავთულის ღობე დაწყდა, გაიქურდა; სკამები დალპა და იპარავდენ დასაწვავად.

ეს ბაღი პირველ რაიონის და განსაკუთრებით ტრამვაის და დიდუბის მუშებისათვის ერთადერთი დასასვენებელი ადგილია. ახმაურდენ მუშკორები, ხმა აღიმაღლა ჩვენმა გაზეთმა და გასჭრა მისმა ხმამაც,

დღეს მშვენიერდება ბაღი. სკამები გაკეთდა, ყვავილები დაირგა, კლუბი ამეშავდა, გაიხსნა კიოსკები, იგება ახალი პავილიონები, მოირწყო, ჯერ არ ნახული რკინის მაღალი მოაჯირი შემოეკალა, შესავალში იგება არკა, და გაიშალა მაგიდები სუფთა ჭაერზე, ბუნების წიაღში აქვე ბუტკებში იყიდება თანამედროვე ლიტერატურა. აქამდის თუ პატიოსან მუშა ხალხს ეზარებოდა აქ შესვლა—ეხლა ტევა აღარაა. მოვუყოროთ ჩვენს ბაღს.

ინფ. ხაგანი

ქართულ მუშათა ფაკულტეტში

22 ივნისს, სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მუშფაკში გაიმართა კურსდამთავრებულ ამხანაგების გამოსამშვიდობელი საღამო, რომელსაც დიდი აღფრთოვანებით მიეგებენ ყველა ამხანაგები და სხვა მოქალაქეებიც. მართლაც ჩვენ ცხოვრებაში მოხდა დიდი გარდატეხა, რითაც მუშათა კლასს მიეცა ყოველგვარი საშვალება წაიწიოს პროგრესისაკენ. პირველი შესავალი სიტყვა წარმოსთქვა მუშფაკის დეკანმა ამხ. სიმონ ხუდადოვმ, რომელიც მიესალმა კურსდამთავრებულებს და უსურვა მათ გამარჯვება მომავალში. მან აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშების მიერ მეცნიერების შესწავლას და სხ. მოგვესალმენ ბევრი სხვებიც.

ჩვენ დიდ მადლობას ვუძღვნით ჩვენ ლექტორებს ასეთი ენერგიული მუშაობისათვის ყველა იმ მუშა-გლეხების შვილების სასარგებლოდ, რომლებიც იზრდებოდენ მათი ხელმძღვანელობით. ჩვენ ის გვინდა, რომ მუშებმაც ისწავლონ და ჩვენც გვყავდეს ისეთი მუშა, რომელსაც შეეძლება ცალ ხელში წიგნით სარგებლობა და მეორე ხელში ჩაქუჩით მუშაობა. ჩვენი მიზანია იმ მუშებს, რომლებსაც უწინ არ ჰქონდათ არავითარი საშვალება, რომ რაიმე სწავლა მიეღოთ. აი დღეს მივალწიეთ იმ მიზნებს, რომ უკვე გვეზრდება მუშის შვილებიც და არა მარტო მუკმახორები.

მისალმებებმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მსმენელებში. ყოველი სიტყვის გათავებისას გაისმოდა დარბაზში მესამე ინტერნაციონალის მარში და მხურვალე ტაში.

მადლობა იმ პირებს, რომლებიც არ იშურებენ არავითარ ძალ-ღონეს და ცოდნა-გამოცდილებას მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

მუშა-ქალი გიორგაძე.

სინათლე არა გვაქვს

(აღმასკომის საყურადღებოდ)

ლენინის უბანში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ როგორც გახვალთ რკინის გზის ხიდ-ქვეშ, ვიდრე გასასვლელ ხიდამდი, არც ერთი ფანარი არ ანთია ღამით. თუ კაცი მიჩვეული არ-არის სიარულს, ის აქ ტროტუარზე უსათუოდ რომელიმე ბოძს დაეჯახება და რაიმეს იტკენს.

ამას გარდა, სარგებლობენ რა სიბნელით მეძავი ქალები და მათი ამყოლები, ხშირად დიდ სიბინძურეს სჩადიან. ყოველად დაუშვებლათ მიგვაჩნია ასეთი მდგომარეობის დაშვება მუშათა ცენტრალურ უბანში.

აღმოსკომო, მიიქეიე ყურადღება, რომ სინბნელით ვერ ისარგებლონ ასეთმა ხალხმა და გაანათეთ ეს ქუჩები!

მუშკორი შორეული.

დაუყოვნებლივ უნდა მოგვაშოროთ ეს გიჟი

(თბილისის აღმასკომის საყურადღებოდ)

განჩარნაია ქუჩაზე გეგეკორიძის სახლში № 33, მე 8-უბ. სცხოვრობს ვინმე კალატოზი მუშა ანტიკიანი ოჯახით. ეს მუშა, კარგა ხანია, გიჟად არის და აწიოკებს როგორც თავის ოჯახს, აგრეედვე თავის მეზობლებსაც. ამას წინად მას წაეკვეა მუშა კაგიზმნოვის ხუთი წლის ბავშვი და ის იყო ფეხით უნდა შესდგომოდა და გაეკუღლეტა იგი. რომ პატრონებს არ მოესწროთ დროზედ და არ გაეხთავისუფლებინათ ბავშვი.

ხშირია ცეცხლის ანთებაც ბალკონში, ვითომდა საკმელი უნდა მოხარშოს. მეზობლები ბევრს ცდილობენ მიაღებინონ საავადმყოფოში, მაგრამ მათ ეს ვერ მოუხერხებიათ საჭირო სასწრაფოდ მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და გადაყვანილი იქნეს ის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, ვიდრე ერთს უბედურობას არ დაატრიალებს ეს ავადმყოფი ვინმე ჩვენთაგანს.

მუშკორი აკოსტა

გამოგზავნილი წერილები-დან.

გორის სადგურის სპეკულიანტი. (გორის აღმასკომის და სად. უფრ. საყურადღებოდ).

გორის სადგურის მებუდეკე ბ. შოშიაშვილი ერთ და იგივე საქონელში ბაზარაში მხოლოდ 10 მოსაკალი, მასაკლებლები კი ყველა ჯამაგირს ღებულობენ, სკოლები დანგრეული და განადგურებული იყო. დღეს კი მოწაფეებს რიცხვი 600-დე აღწევს, ყველა კოლები მაზარაში შეკეთებულია და სწავლა ნორმალურ კალაპოტში ჩადგებული. თუ ზოგიერთი მასწავლებლები წარსულში გულგრილობას იჩენდნენ თავიანთი მოვალეობისადმი, ეს აიხსნებოდა იმით, რომ არავინ პრუნავდა და ხელმძღვანელობდა მათ, დღეს კი ამას ადგილი არ აქვს.

აღმზენებლობითი მუშაობა.

ბეჩოში დაწყებულია შვიდი ახალი შენობა: აღმასკომის ბინა, მაზრის მილიციის სადგომი, საავადმყოფო, ბანო, სახალხო სასამართლოს ბინა, ფურნე და სხვა. სამი შენობა ორ თვეში დამთავრდება, დანარჩენები კი მომავალ ზამთარში. რასაკვირველია ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ დაგვეხმარება კრედიტის გასსით ცენტრი, რომლის თანხითაც ზემოაღნიშნული შენობები შენდება. ბეჩოშივე მოწყობილია საბავშვო სახლი, რომელსაც მატერიალურ დახმარებას აძლევს მაზრის აღმასკომი და განათლების კომისარიატი. აქვე მოწყობილია ფოსტა, რომელიც შეერთებულია ჯვართან (ბუკდიდის მაზრა) და რეგულიარულათ ღებულობს კორესპონდენციებს და ფურნალ - გაზეთებს. უნდა აღვნიშნოთ რომ ეს დღემდე არ ყოფილა.

სვანეთის საბავშვო სახლის გადმოტანა თბილისში.

მაზრის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა ზემო-სვანეთის საბავშვო სახლი გადმოტანილი ყოფილიყო თბილისში. შუამდგომლობა დამტკიცებული იქნა კომისარიატის მიერ და 15 აგვისტოსათვის სვანეთის საბავშვო სახლი თბილისში იქნება.

ტყის ექსპლოატაცია.

ყველაზე უფრო საყურადღებო მაზრის აღმასკომის მუშაობაში—ეს არის სვანეთის ხე-ტყის ექსპლოატაცია. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი მდიდარია სვანეთი ტყით. ეგეკვობ მოიპოვებოდეს საქართველოში სხვა მაზრა, რომელიც შეიდრეობდეს ამ მხრივ. მაზრის აღმასკომი არ შეუშინდა მუშაობის სიძნელეს და ფართედ მოკიდა ხელი ტყის დამზადებას. ამით სამაზრო ხელისუფლებას უნდოდა მიეცა ხალხისათვის სამუშაოზე გასვლის საშუალება, რომ ნაშუშეკრით პირველი საჭირავების საგნები შეეძინა, როგორიც არის ნავთი, მარილი, ფართალი და სხვა. ეს კი შეასუსტებდა იმ ბოროტ-მოქმედებებს, რომელსაც დღემდე ადგილი ჰქონდა სვანეთში, რაც გამოწვეული იყო ხალხის უსაქმობით. ხალხს არ ჰქონდა სამუშაო, მოსავალი არ ჰყოფნიდა, მთავრობის პრესტიჟი და ცემული იყო და ცხადია ყველა ეს ხელს უწყობდა ხალხის მტრებს თავისი ბნელი საქმე ეკეთებინათ და ისეთი ამბები მოემზადებინათ, როგორსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში.

გზის საჭიროება.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სვანეთის ჩამორჩენილობის და გაუნათლებლობის, გზის უქონლობაა, რასაკვირველია, სვანეთში გზის გაყვანას დიდი თანხა სჭირია (არ ვლაპარაკობ რკინის გზაზე, რომელიც ოცნებათ ჩაითვლება, არამედ გზატკეცილზედ), რომ დახმარება გაუწოთ ცენტრალურ მთავრობას და გაუადვილოთ ეს საქმე, სწორედ ამ მიზნით არის ტყის დამზადება დაწყებული და მისი გაყიდვა. ყველა სვანი იმას გაიძახის, მოგვეცით გზა, ვიხრჩობით უგზოობით, ვინც გზას გაგვიკეთებს, ჩვენი მთავრობა ისაა და ჩვენც იმას დავემორჩილებითო. მართლაც სვანეთს არ მოეპება უბრალო ისეთი ბილიკიც კი, სადაც ცხენით მოგზაურობა შეიძლებოდეს თავისუფლად. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მგზავრები მრისხანე ენგურის ტალღების მსხვერპლი ხდებიან. ამ წელში აღნიშნულია ასეთი სამი შემთხვევა, როდესაც ცხენები მოსწყდა გზას თავის საპალნით და ხრამში გადაიჩეხა. მესამე და უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ, როგორც ზევით ვსთქვი, მაზრ-აღმასკომს უნდოდა სამუშაოს მიცემით ხალხის გული მოეგო, მისკენ გადმოებირებინა. გამოეგლიჯა იმ ბნელ ელემენტების გავლენისაგან, რომლებსაც დღემდე ხალხში კიდევ ქონდათ გასავალი და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ აშკარათ მტრულად იყვნენ განწყობილი.

განდიტიზმის მოსპობა

უკანასკნელი მიზანი თითქმის მიღწეულია. ხალხი წესიერ ცხოვრებას ეწევა. მან საკმაო ფართალი, მარილი და ნავთი შეიძინა, ხელისუფლების პრესტიჟი ხომ არ ყოფილა არას დროს ის ზომამდე აწეული; ხალხი თან-და-თან რწმუნდება იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მისთვის განადგურების მაგიერ სიკეთე და პედნიერება მოაქვს. ამის შემდეგ. ცხადია, სვანეთის მტრები გარიყულნი დარჩებოდენ და მათთან ბრძოლა გაცილებით ადვილი შეიქნებოდა. როდესაც მაზრის-აღმასკომი დარწმუნდა იმაში, რომ ხალხის უმრავლესობა მის მხარეზე იყო, მაშინ გადაწყვიტა იერიში მიეტანა ხალხის მტრების წინააღმდეგ და მათი ბუდე სავსებით გაენადგურებინა. შეტევა ბრწყინვალეთ დამთავრდა. ორმოცამდე ბანდიტი იძულებული შეიქნა თავის ხელით მიეტანა მაზრის მილიციისათვის თოფები და პატრონი ეთხოვა, ზოგიერთი თავზე ხელ-აღებული ყაჩაღები მოულოდნელი თავზე დაეცნენ შეპყრობილ იქნენ და გადაგზავნილი არიან ციხეებში. თუ ამ ტემპით გაგრძელდა მუშაობა მომავალშიც, სულ მოკლე დროში შეიძლება სვანეთში სრული მშვიდობიანობის დამყარება.

ტყის ექსპლოატაციის მნიშვნელობა.

„განზრახული გვქონდა,—მომითხრობს მაზრის პრეზიდიუმის წევრი ამხ. მანჯგალაძე, რომელსაც დავალებული აქვს აწარმოვოს ხე-ტყის დამზადების საქმე,—ამ წელში მილიონ კუბიკური ფუტი ხე-ტყის მასალისა ვაგვეტანა ბაზარზე. სხვადასხვა მიზეზის გამო და უმთავრესად ჩვენი გამოუცდელობით, ამ ციფრის დამზადება შეუძლებელი გახდა. ეხლა ექვსას ათასამდე კუბ. ფუტი მაინც მზად გვექნება ამ ერთ-ორ თვეში და გავიტანთ ბაზარზე გასასყიდათ. სვანეთის ხეები მიაქვს ენგურს ანაკლიამდე, სადაც ენგური ზღვას ერთვის და შემდეგ კი ზღვით ჩაქვთ ფოთში. პირველი პარტია უკვე ჩატანილია ფოთში.

მომავლისათვის გაცილებით მეტს დავამზადებთ, რაშიც დაგვეხმარება მიღებული გამოცდილება და დაკვირვება.

შემდეგში, როცა ეს საქმე უფრო კარგათ მოეწყობა, მაშინ მაზრას თავისი შემოსავლით შეუძლია დაფაროს თავისი ხარჯები და ეს კი საქართველოს ხაზინას დიდ დახმარებას გაუწევს. გარდა ხე-ტყის მასალისა მაზრას სხვა არავითარი შემოსავლიანი წყარო არ აქვს. ტყე კი ულეველია. თუ გზა გაკეთდა, და რომ უნდა გაკეთდეს—ეს აუცილებელია, მაშინ სვანეთი გადაიქცევა ერთ ერთ საუკეთესო საავარაკო ადგილათ თავისი ბუნებით და მშვენიერი ხარისხის მეტეო წყლებით. სასურველი იქნებოდა, განაგრძობს ამხ. მანჯგალაძე, საქართველოს დაწესებულებებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხე-ტყით, ჩვენნაირ შეეძინათ ასეთი, რომლის შემოსავალი მოხმარდება მხოლოდ და მხოლოდ სვანეთში გზის გაყვანას“.

ხე-ტყის ოპერაციით მაზრამ ხუთასამდე კაცს მისცა საშუალება სამუშაოზე გასულიყო და თავისი ხელფასით მისი პირველი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია.

მთავრობა გვეხმარება.

დიდი პატივისცემით საგანგებოს მაზრაში ადგილობრივი მხცოვრებლების გადმოცემით მაზრის თავმჯდომარე ამხ. კ. სტურუა. სვანები მშუხარებას გამოთქვამენ, რომ მისი ავადმყოფობა საშუალებას არ აძლევს მას მუდამ იქ იცხოვროს და მაზრის უშუალოდ უფელმძღვანელოს.

მაზრა გამოცოცხლებულია, მუშაობა გაჩაღებულია, თანდათან ნიადაგი ეცლება იმ სამარცხვინო ჩვეულებებს, რომელმაც განადგურებამდე მიიყვანა სვანეთი.

იქ წარსულ ამხანაგებს მიზნად დაუსახავთ დაეხმარონ ამ ყოველ მხრივ გაჭირვებულ კუთხეს და ისინიც ამამ გასაოცარი ენერგიით ასრულებენ. ამხანაგები დარწმუნებული არიან, როგორც დღემდე, მომავალშიც საქართველოს მთავრობა დახმარებას არ მოაკლებს მათ, რომ დაწყებული საქმე სასურველად დაგვირგვინდეს.

ა. მ.

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲚᲔᲑᲘ

— **ᲒᲠᲨᲝᲑᲐᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ.** 14 ივლისი, ორშაბათი, შრომის კომისარიატის დადგენილებით, დასასვენებელი დღეა.

— **ᲛᲐᲢᲧᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ.** საქ. ᲣᲚᲔᲚ. ეკონ. საბჭომ გამოყო ცალკე კომისია, რომელსაც დაეკისრა საქართველოში მატყლის დამზადება რუსეთის ქარხნებისათვის.

— **ᲡᲐᲒᲚᲔᲮᲝ ᲡᲔᲡᲮᲘ.** სიღნაღის მაზრის გლეხკომის თაოსნობით ადგილობრივმა გლეხებმა შეიძინეს 1,200 მან. საგლეხო სესხის ობლიგაციები.

— **ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ ᲥᲘᲖᲘᲧᲨᲘ.** ქიზიყში მოვიდა 9 ივლის, კოკისპირული წვიმა, რომელსაც მოჰყვა ქარიშხალი. ზარალი გამოურკვეველია.

— **ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘ.** სიღნაღის სამაზრო გლეხკომმა მოაწყო და უკვე აამუშავა ფეხსაცმელების, სამკედლის და სადურგლო სახელოსნოები.

— **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲐᲗ.** ოზურგეთის მაზრის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საადგილო ადგილების სამმართველოს წინაშე, რათა ჩოხატაურ-ბახმაროს შორის ტელეფონის ხაზის გასაყვანათ მიიღოს შესაფერი ზომები.

— **ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.** ა.-კ. ᲪᲙ-თან დაარსდა ლენინის ხსოვნის [illegible]სამტკიცებელი კომისია ამხ. ცხაკაიას, შალვა ედიავას და კახიანის შემადგენლობით.

— **ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲚᲔᲮ-ᲥᲐᲚᲗᲐ.** ა.-კ. ᲪᲙ-ᲛᲐ დაადგინა გაუწიოს ფულით დახმარება გ[illegible]-ქალთა ჯგუფებს, რომლებიც არსებობენ სხვადასხვა დაწესებულებებთან.

— **ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲨᲐᲥᲐᲠᲨᲘ.** ა.-კ. ᲪᲙ-ᲛᲐ გადაწყვიტა საკავშირო ᲪᲙ-ის [illegible]ᲒᲚᲔᲑᲘᲡ მიხსნას ა.-კ. ფარგლებში აქციზი შაქარზე.

— **ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲘᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ.** ა | კ. ᲪᲙ-ᲛᲐ დადგენილებით გაუქმებულია საბჭოთა არისტატის შემწყვეტელი კომისია, [illegible]ᲛᲘᲡᲘᲡ საქმეები გადაეცა მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

— **ᲛᲔᲝᲠᲔ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲙᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲗᲘᲗᲛᲭᲓᲝᲛᲐᲠᲔ.** ამხ. აგა-მალიევი [illegible]ᲜᲗᲝᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ იქნა ა | კ. ᲪᲙ-ᲘᲡ [illegible]ᲛᲬᲧᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ, მორიგი თავმჯდომარეობა დაეკალა ამხ. ამბარცუმიანს.

— **ᲡᲐᲡᲚᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.** [illegible]ᲚᲘᲜᲘᲜ ᲙᲝᲛᲞᲝᲠᲐᲢᲘᲕᲘᲡ საქ. [illegible]ᲡᲐᲑᲭᲝᲛ დაავალა მოინიზაციების და დაწე[illegible]ᲓᲒᲔᲜᲚᲔᲜᲘ, რომ[illegible] შეეიდენ სახალხო კვების [illegible]ᲒᲐᲜᲘᲡ წევრებათ.

ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲘ

— ᲬᲐᲙᲒᲚᲔᲚᲝᲑᲐ. 6 ივლისს [illegible] 8 საათზე, სოფ. საგარეჯოში [illegible] რაშვილმა ჩხუბის დროს [illegible] თავის მეგვარე ვიორგი [illegible] შემდეგ მკვლელ[illegible] [illegible]ᲘᲡᲘᲡ, საღამოს 6 [illegible] გადაღმა გაქურდ[illegible] [illegible]ᲫᲔ ᲬᲐᲘᲓᲔᲓᲐ 100 მან.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

მოძრავი თეატრი

თბილისში არსდება მოძრაკი თეატრი, რომელიც მიზნად ისახავს პროვინციისათვის სამსახურის გაწევას. პირველი მისი ნაბიჯი დაბა-ქალაქებია, ხოლო მეორე—სოფელი. თეატრისებიდან სჩანს, რომ მას განზრახული აქვს მიიტანოს სოფელში ხალხური, რევოლიუციონური და მხატვრული შინაარსის

პროვინციამი

სვირი (ქუთაისის მაზრა)

8 ივლისს სადგურ სვირში შეიხეთ მოხდა ბაზრობა, რომელსაც დესწრო პირველ ბაზრობაზედ გაცლებით მეტი ხალხი, ბაზრობის დროს ეკიხსნა საალმშენებლო კომისიის მიერ საზოგადო კრება, რომლის მიზანი იყო ბაზრის დღის შერჩევა. კრებას ესწრებნენ გაუკეთა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ანდ. ვ. მანჯგალაძემ სვირის რაიონში ბაზრის მნიშვნელობაზედ და ბაზრობისთვის უფრო ხელსაყრელ დღის არჩევაზედ. კრებამ ერთხმათ დაადგინა გაიმართოს ბაზრობა კვირაში ორჯერ: სამშაბათობით და კვირაობით.

სვირის რაიონი მდიდარია ღვინით და სხვა მოსავლით. და ასეთ რაიონს ღღემდის ბაზარი არ ქონდა; გლეხობას თავიანთი ნაწარმოება გაქონდათ სხვა დაშორებულ ბაზრებში, ზესტაფონში, ჩხარი და ქუთაისში, საიდანაც წამოსვლა უხდებოდათ სახლში ღამით. ყოფილა შემთხვევა, რომ ღამით მომავალ გლეხებს თავიანთ ნაკაბრს გზაში ართმევდენ ბოროტგამბრახელები.

მეტი ყურადღება მეაბრეშუმეობას

წერილი ტობანიერიდან (ქუთაისის მაზრა)

არ იქნა და არ მოხერხდა სოფლის ნაწარმოებისთვის შესაფერი საბაზრო პირობის შექმნა. სიმინდი, ღვინო, ყვერცხი, ქათამი და გლეხის სხვა ნაწარმოები დღესაც მუქთად ღირს.

მეაბრეშუმეობაში წარეულს ჩაება მთელი გლეხობა. არც ერთ წელს არ დარიგებულა იმდენი აბრეშუმის თესლი, რამდენიც წელს, მაგრამ მოსავალი კი თითქმის საშუალოზე ნაკლებია. ამის მიზეზი უმთავრესად უნდა იყოს თესლის უკარგისობა.

გარდა ამისა პარკის გასაღება და ეხლა კი გლეხებს შეუძლიათ თავის რაიონის ბაზარში ივაჭრონ ღღით და საღამოს მშვიდობიანათ დაბრუნდენ სახლში. აღმასკომი აწარმოებს სხვადასხვა დაწესებულებისათვის შენობის აგებას; რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა მიმართა თხოვნით მთავრობას, რომელმაც დაგვითმო 200 ძირი ხე უფასოთ და 100 ძირი დაკლებულ ფასებში. აჯამეთის ტყიდან. 200 ძირი ხე იქნა გაყიდული, 100 ძირი კი დარჩა სამასლოთ. გაყიდულ ხეების თანხიდან შეძენილი იქნა 150,000 აგური, 10,000 კრამიტი 2,300 ფუთი კირი და სხვა. ბალავერის ქვა და სილა გამოიტანეს რაიონის გლეხებმა უფასოთ. შენობის ზომა არის 9 და 9 საჟენი, 2 სართულიანი, 14 თვალი, მუშაობა შენობის ასაგებათ დაწყებულია.

საზოგადოება აღფრთოვანებით ეგებება აღმასკომის ასეთ აღმშენებლობითი მუშაობას და აღუთქვამს მას 4,850 მანეთით ფულით დახმარებას.

ხ. გიგინეიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 26.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. გზირის გასამგზავრო შესახებ, სამოქალაქო საქმის გამო შესატყობინებლის ჩაბარებისათვის

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამოქალაქო საქმის გამო შესატყობინებლის ჩაბარებისათვის გზირის ხელით (სამეჯ. სამ. საპროც. კოდ. 67 მუხლი) მოდგეს თვითეული შესატყობინებელზე გამოართვეს 15 კაპეიკი.

2. შესატყობინებლის მიტანისათვის გასამრჯელო გამორიცხულია იმ პირს, ვისთანაც იგი მიტანილია.

შენიშვნა 1. როდესაც შესატყობინებელზე მოწმისა და ექსპერტისათვის არის ჩასაბარებელი, გასამრჯელოს გადაიხდის ის მოდავეთაგანი, რომლის თხოვნითაც ოწმე ან ექსპერტი არის დაბარებული.

შენიშვნა 2. როდესაც მოწმე და ექსპერტი სასამართლოს თაოსნობით იქნება დაბარებული, შესატყობინებელის ჩაბარების გასამრჯელო გადაიხდება ორსავე მხარეს თანასწორად.

3. შესატყობინებლის ჩაბარებისათვის გადასახადელი გასამრჯელოს რაოდენობას სასამართლო აღნიშნავს თვით ჩასაბარებელ შესატყობინებლზე.

4. შესატყობინებლის ჩაბარებისათვის გასამრჯელო არ გამოერთმევა იმ დაწესებულებასა და პირს, რომელიც სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 44 მუხლშია აღნიშნული.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი თ. კ ე ვ ა ლ მ ა ძ ე.

1924 წ. ივლისის 9.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 101.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. ფითელარმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფისათვის 1923 წლის ივნისის 23-ს გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

რადგანაც ამერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლ. აპრილის 24-ს გამოცემული დეკრეტით ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ შეცვლილია ის წესი, რომლითაც განისაზღვრება ფითელ-არმიელთათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების გასაადვილებლად მისაცემი შეღავათი, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ფითელარმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ 1923 წლის ივნისის 23-ს გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლი მიღებულ იქმნეს შემდეგი რედაქციით:

ფითელარმიელთ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების გასაადვილებლად, მიეცემათ შემდეგი შეღავათი:

ა) გადასახადის გამოსაანგარიშებლად მეურნეობაში მყოფ მეჰამელთა აღწერაზეის დროს მეჰამელთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს ყველა ის პირი, ვინც იმყოფება ფითელ არმიისა, საზღვაო და საჰაერო ფლოტის სამსახურში და ამერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარში; ხოლო კურსანტები და სარაზმო საკომანდო შედგენილობის პირნი არმიისა (ბატალიონის კომანდირამდე—მისრანად) ფლოტისა (საზღვაო და საჰაერო) და ამერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარისა—ჩაითვლება თვითეული ორ მეჰამელად.

ბ) პ. ა-ში ჩამოთვლილ პირთა ოჯახები, რომელთაც არა ჰყავთ თავიანთ შორის შრომისუნარიანი მამაკაცი, განთავისუფლდებიან მხოლოდ შენაწერი გადასახადისაგან, უკეთუ თვითეულ მეჰამელზე მიწა და საკონელი სახნავზე გადატანით ნახევარ დესეტინაზე ნაკლები მოდის და უკეთუ მეურნეობაში 5 მეჰამელზე ნაკლებია.

გ) პ. ა—ში ჩამოთვლილ პირთა ოჯახები რომელთაც მიწა და საკონელი სახნავზე გადატანით თვითეულ მეჰამელზე ნახევარ დესეტინაზე ნაკლები აღმოაჩნდებათ, ხოლო შრომისუნარიანი მამაკაცები-კი ეყოლებათ, განთავისუფლდებიან ნახევარი შენაწერი, გადასახადისაგან, უკეთუ მეურნეობაში 5 მეჰამელზე ნაკლები იქნება.

დ) სამოქალაქო ომის ინვალიდთა და იმ ფითელარმიელთა ოჯახებს, რომელნიც ტყვეთ იმყოფებიან, აგრეთვე იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც წარვლენილ არიან პარტიულ სკოლებში, კომუნისტურ უნივერსიტეტებში და მუზეთა ფაკულტეტებზე, გადასახადის გასტუმრებისათვის აქვთ იგივე შეღავათი, რაც ნამდვილ სამსახურში მყოფ ფითელარმიელთა ოჯახებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ც ხ ა კ ა ი ა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი.

1924 წლ. ივლისის 7.
თბილისი-სასახლე.

ბარტიული და საბჭოთა კალენდარი

ბ ა რ ტ ი უ ლ ი

— სამშაბათს 15 ივლისს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სამდივნოში შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის **კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა**

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი—რ უ ბ ე ნ ი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ოთხშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის ბინაზე იწვევს **საშეფო კომისიების სხდომას.** საშეფო კომისიების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ა კ ო პ ო ვ ი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, საბშაბათს, 15 ივლისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის ბინაზე იწვევს **იაჩეიკების მდივანთა თათბირს.** იაჩეიკების ყველა მდივანთა დასწრება სავალდებულოა. ვფიქრობთ ყველას ნუ დაიგვიანებენ.

მდივნის მაგ. ს. ა კ ო პ ო ვ ი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება რომ ოთხშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მე-3 რაიონის პარტკლუბის შენობაში (ვახეთი ქ. № 1) შესდგება მე-3 რაიონის **„რემედასს"-ის უჯრედების ბიუროს თათბირი.**

დღის წესრიგი: 1) „რემედასს"-ის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, 2) საორგანიზაციო საკითხები, 3) „რეზედასს"-ის სარაიონო ბიუროს არჩევნები, 4) მიმდინარე საქმეები.

„რემედასს"-ის ბიუროს ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი ვ ა რ თ ა პ ე ტ ო ვ ი.

— ორშაბათს, 14 ივლისს, დილის 9 საათზე და 30 წუთზე საქართველოს ახალგაზრდა კომკავშირის თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება **ლენინის სახელობის ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფების თბილისის ქალაქის საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა.**

ყველა წევრთა, კანდიდატთა, საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის, საქართვ. ახალგაზრდა კომკავშირის თბილისის კომიტეტის, საქართვ. პროფკავშირთა საბჭოს და თბილისის პოლიტ-განათლების წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა.

საქართვ. ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფების თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე—რ ა ხ ვ ა ნ ი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეჰაბურეთა ოლქი ოთხშაბათს, 15 ივლისს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის **კომიტეტის სამდივნოში** შესდგება

ბრეზიდიუმის სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი—რ უ ბ ე ნ ი.

— საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ოთხშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის ბინაზე იწვევს **საშეფო კომისიების სხდომას.** საშეფო კომისიების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ა კ ო პ ო ვ ი.

— საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, ოთხშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე, ბინა № 6, ტელ. 9—84. **ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ ბიუროს** ამიერ-კავკასიის ბიუროს ინსტრუქციის **„ბ" ბ. ბ. ბ.